

№3- 152

23.02.2018



სურსათის ეროვნული სააგენტოს  
უფროსს ბატონ ზურაბ ჩეკურაშვილს

ბატონო ზურაბ,

გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ 2017 წლის ნოემბერში ქ. რუსთავში მაღაზია-საწარმო „კამაში“ შეძენილი და შემოწმებული ხინკლის გადამოწმების მიზნით, 2018 წლის 14 თებერვალს, იმავე მაღაზიაში (შპს „კამა“, ქ. რუსთავი, მე-16 მ/რ მიმდებარე ტერიტორია) განმეორებით შევიძინეთ გაყინული ხინკალი, რომელიც შემოწმდა ლაბორატორიულად მიკრობიოლოგიურ მახასიათებლებზე. ლაბორატორიიდან მიღებული პასუხის მიხედვით, პროდუქტში გადაჭარბებული აღმოჩნდა მეზოფილურ-აერობული და ფაკულტატურ-ანაერობული მიკროორგანიზმების რაოდენობა.

ლაბორატორიის გამოცდის ოქმსა და შესყიდვის დამადასტურებელ დოკუმენტს გიგზავნით დანართად.

გთხოვთ მოახდინოთ რეაგირება. მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, გთხოვთ გვაცნობოთ მითითებული პროდუქტის თქვენს მიერ შემოწმების შედეგები, რათა ისინი ხელმისაწვდომი გავხადოთ საზოგადოებისათვის.

გთხოვთ ასევე გაითვალისწინოთ, რომ 2017 წლის აგვისტოდან დღემდე საწარმო „კამას“ მიერ წარმოებული ხინკლის ნიმუშები უკვე მესამედ ავიღეთ. სამივე შემთხვევაში, ლაბორატორიული კვლევის შედეგად პროდუქტში გადაჭარბებული აღმოჩნდა მეზოფილურ-აერობული და ფაკულტატურ-ანაერობული მიკროორგანიზმების რაოდენობა, ხოლო აგვისტოში აღებულ ნიმუშში E.coli-ს ნორმის გადაჭარბებაც დაფიქსირდა. 2017 წლის ნოემბერშიც და აგვისტოშიც შესაბამისი შეტყობინებები გამოიგზავნა სურსათის ეროვნულ სააგენტოში, საიდანაც მიღებული პასუხების მიხედვით, ორივე შეტყობინების შემდეგ ჩატარდა საწარმოს ინსპექტირება და ორჯერვე დაფიქსირდა არაკრიტიკული შეუსაბამობები.

პატივისცემით,

ვახტანგ კობალაძე  
პროგრამის კოორდინატორი

მომხმარებელი.ge

www.moxmarebeli.ge

საკითხს აშუქებს

